პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1975
კვირა
9
თებერვალი
№ 34
(16160)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების 30-ე წლისთავი უდიდესი პოლიტიკური მოვლენა იქნება საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში.

1975 წლის 9 მაისის დღე აღინიშნება რუგორც საბჭოთა კავშირის მშრომელთა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ლენინური კომუნისტური პარტია — ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა.

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

## სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის შესახებ“

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ომი, რომელიც გერმანიის ფაშიზმმა მოახვია თავს საბჭოთა კავშირს, იყო მსოფლიოს იმპერიალიზმის დამკვრელი ძალების ყველაზე დიდი შეიარაღებული გამოსვლა სოციალიზმის წინააღმდეგ, უმძიმესი განსაცდელი, როგორიც ოდესმე განუცდია ჩვენს სამშობლოს. ამ ომში წყდებოდა მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბედი, მსოფლიო ცივილიზაციის, პროგრესისა და დემოკრატიის მომავალი.

საბჭოთა ხალხმა და მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ჰიტლერულ გერმანიასა და მის სატელიტებს, დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, შეასრულეს დიადი განმათავისუფლებელი მისია, პირნათლად მოიხადეს თავიანთი ინტერნაციონალური ვალი. ჩვენი ქვეყანა გახდა მთავარი ძალა, რომელმაც მსოფლიო ბატონობის გზა გადაუღობა გერმანიის ფაშიზმს, თავის ზურგზე გადაიტანა მთავარი სიმძიმე და გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰიტლერული გერმანიის, შემდეგ კი მილიტარისტული იაპონიის განადგურებაში.

ფაშიზმზე გამარჯვება მსოფლიო-ისტორიული მოვლენა იყო და უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე. მან ცხადყო, რომ სოციალიზმი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საქმის ყველაზე საიმედო დასაყრდენია.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ ცხადყო მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა და უძლეველობა. ეს იყო ოქტომბრით შობილი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების, სოციალისტური ეკონომიკის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის გამარჯვება. ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი იყო საბჭოთა ხალხი, რომლის გმირობა სწორუპოვარია ისტორიაში. „...საბჭოთა ხალხმა, — ხაზგასმით აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, — ღირსეულად გაუძღო ომის მკაცრ განსაცდელს, მტერი დამარცხებულ და განადგურებულ იქნა. ჩვენმა შესანიშნავმა ხალხმა, გმირმა ხალხმა, ბუმბერაზმა ხალხმა მაღლა ასწია ჩვენს პლანეტაზე და ძლევამოსილად გამოატარა ომის წლების ჭარბეცხლი დიდებით მოსილი ლენინური დროშა, დიდი ოქტომბრის დროშა, სოციალიზმის დროშა“.

მტერთან ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში უმაგალითო მამაცობა და უდიდესი ვაჟკაცობა გამოიჩინეს არმიისა და ფლოტის მეომრებმა. თავისი უპირატესობა ცხადყო საბჭოთა სამხედრო ხელოვნებამ, საბრძოლო ოპერაციების განხორციელებისას დიდი ოტატობა გვიჩვენეს კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა შეიარაღებული ძალების მეთაურთა და პოლიტმუშაკთა კადრებმა.

მტრის ზურგში გმირულად მოქმედებდნენ პარტიზანები და იატაკქვეშეთის მონაწილენი. მასობრივმა პარტიზანულმა მოძრაობამ, რომელიც მთელ ოკუპირებულ ტერიტორიას მოედო, მკაფიოდ გამოავლინა საბჭოთა ადამიანების მგზნებარე პატრიოტიზმი.

დიადი გმირობა მოახდინეს მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, საბჭოთა ინტელიგენციამ, რომლებიც თავდადებული შრომით შეიარაღებული ძალების მეომრებთან ერთად ჭედდნენ მტერზე გამარჯვებას. მთელი ომის მანძილზე ფრონტი და ზურგი ერთიან საბრძოლო ბანაკს წარმოადგენდა.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ლენინური კომუნისტური პარტია — ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა. უაღრესად ძნელ პირობებში მან შეძლო დაერაზმა საბჭოთა ხალხი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წმიდათაწმიდა ბრძოლისათვის და, სამმარი მოქმედების დაწყებითს პერიოდში დროებით წარუმატებლობათა მიუხედავად, მიაღწია ძირეულ გარდატეხას ომის დროს და უზრუნველყო მისი ძლევამოსილი დაგვირგვინება. პარტიამ ეფექტურად ტაქტიური მუშაობა გასწია სამხედრო ყაიდაზე სახალხო მეურნეობის გარდაქმნელად. თავიანთი პირადი მაგალითით, გმირობითა და ვაჟკაცობით კომუნისტები ამაღლებდნენ მასების საბრძოლო სულისკვეთებას, მიუძღოდნენ მათ საგმირო საქმეებისათვის, უნერგავდნენ მტერზე სრული გამარჯვების უარეგე რწმენას. ომის წლებში განუზომლად ამაღლდა პარტიის ავტორიტეტი, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდა მისი რიგები, უფრო განმტკიცდა პარტიისა და ხალხის ერთიანობა.

ომის მრისხანე წლებში, ისევე როგორც მშვიდობიან დროში, პარტიის მებრძოლი თანაშემწე იყო ლენინური კომკავშირი. ხალხს მუდამ ეხსომება საბჭოთა ქალი — პატრიოტი, მებრძოლი, მშრომელი, ჯარისკაცის დედა.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა წინააღმდეგობის მოძრაობამ, რომელიც ფართოდ გაიშალა ოკუპირებულ ქვეყნებში, ან ფაშისტური ბრძოლის მატარებელში სამუდამოდ შევა პარტიზანული მოქმედებები და შეიარაღებული აჯანყებები, სახალხო-განმათავისუფლებელი ძალების მებრძოლთა გმირობა. კაცობრიობის ყველაზე საშიში მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში იყვნენ კომუნისტური და მუშათა პარტიები. კომუნისტებმა თავი გამოიჩინეს, როგორც ნამდვილმა პატრიოტებმა და ინტერნაციონალისტებმა, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თანამიმდევრულმა მებრძოლებმა.

მტერზე საერთო გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა ხალხებმა და არმიებმა. პრაქტიკულად დადასტურდა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ეფექტიანი პოლიტიკური და სამხედრო თანაშრომლობის შესაძლებლობა.

გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურებას მოჰყვა რეაქციული რეჟიმების დამხობა ევროპისა და აზიის მთელ რიგ სახელმწიფოებში, მან ხელშემწყობი ვითარება შეუქმნა მშრომელი მასების ბრძოლას სოციალიზმისათვის. ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში რევოლუციათა წარმატებით განხორციელების შედეგად შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, გაფრცდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, დაჩქარდა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარება. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებმა კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. ჩაეყარეს თვითონი ქვეყნები განვითარებულ სახელმწიფოთა რიცხვში, რითაც ცხადყვეს ახალი საზოგადოებრივი წყობილების დაუშრეტელი შესაძლებლობა.

ფაშიზმზე გამარჯვებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა, რათა კიდევ უფრო განვითარებულიყო მუშათა მოძრაობა კაპიტალის ქვეყნებში, გაზრდილიყვნენ და განმტკიცებულიყვნენ კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც მუშათა კლასის და ყველა მშრომელის საქმისათვის ყველაზე აქტიური მებრძოლები არიან. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა.

ჰიტლერული გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის განადგურებამ ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ აღმავლობას, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მსხვრევას. ომისშემდგომ პერიოდში აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა, რომლებიც კოლონიური მონობისაგან განთავისუფლდნენ, მტკიცედ დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას.

მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის სოციალიზმის სასარგებლოდ ძირეულად შეცვლას ის მოპყავა, რომ იმპერიალიზმმა დაკარგა შესაძლებლობა დაუსჯელად განაგებდეს ხალხთა ბედ-იღბალს, და ახლა არ შეუძლია ანგარიშს არ უწევდეს სოციალისტური ქვეყნების ძლიერებას, მათს აქტიურ საგარეო პოლიტიკას, მშვიდობისა და პროგრესის ძალების საერთაშორისო სოლიდარობას.

სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული მშვიდობის პროგრამის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების შეთანხმებული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების შედეგად ხდება შემობრუნება „ცივი ომიდან“ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ, ფართო თანამშრომლობისაკენ, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. მიმდინარე ცვლილებათა დადასტურებაა ვითარების გაჯანსაღება ევროპაში, მეორე მსოფლიო ომის და ომისშემდგომი განვითარების შედეგების პოლიტიკური დამკვიდრება.

ეროვნული პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები ისწრაფვიან განავითარონ ის დადებითი ძვრები, რომლებიც მსოფლიოში ხდება. შეუქცევადი გახადონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი. ამასთანავე, ხაზგასმულია დადგენილებაში, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიალიზმის ბუნება არ შეცვლილა, რომ რეაქციისა და აგრესიის ძალებს არ დაუყრიათ ფარ-ხმალი და ცდილობენ ხელი შეუშალონ საერთაშორისო ურთიერთობაში მიმდინარე დადებითს ცვლილებებს. იზრდება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტები, კვლავ დაძაბული ვითარებაა დედამიწის მთელ რიგ რაიონებში, არ წყდება იდეოლოგიური დივერსიები სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

თანამიმდევრული მშვიდობის მოყვარული პოლიტიკის განხორციელებასთან ერთად კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, დიდი სიფხიზლის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის, არ იშურებენ ძალღონეს, რათა ქვეყნის მშვიდობიანი შრომა და უშიშროება სიმიდოდ იყოს დაცული. განვლილი ომის გაკვეთილები ადასტურებს, რომ ასეთი კურსი აუცილებელი და სწორია.

მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს დიდ ზიანს აყენებს ანტიმარქსისტული, გამოთქვილი კურსი ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობისა, რომელიც პრაქტიკულად პირი შეკრა რეაქციულ წრეებთან, მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკის მოწინააღმდეგეებთან.

მოძმე მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იღვწის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერების ზრდისათვის, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური და სამხედრო თანაშრომლობის სრულყოფისათვის.

აი უკვე სამი ათეული წელია საბჭოთა ხალხი სარგებლობს მშვიდობის ნაყოფით. მან მოიგო ომით მოყენებული ჭრილობები და უდიდეს წარმატებებს მიაღწია კომუნისტურ მშენებლობაში. ამ გზაზე დიდი წინგადადგმული ნაბიჯია სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელება. მეცხრე ხუთწლედის ამოცანათა შესასრულებლად ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საგმირო საქმეებში ვლინდება მათი დიდი შეგნებულობა, მგზნებარე პატრიოტიზმი და კომუნიზმის იდეალების ერთგულება, რომელთა გასამარჯვებლად დიდი სამამულო ომის წლებში არნახული ვაჟკაცობით იბრძოდა მილიონობით საბჭოთა ადამიანი.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების 30-ე წლისთავი უდიდესი პოლიტიკური მოვლენა იქნება საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში.

1975 წლის 9 მაისის დღე აღინიშნება, როგორც საბჭოთა კავშირის მშრომელთა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, არმიისა და ფლოტის პოლიტორგანოებს რეკომენდაცია ეძლევათ ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გაშალონ სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში და ხომალდებზე, რათა განმარტონ, თუ რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხის გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიაზე, საბჭოთა კავშირისა და მისი შეიარაღებული ძალების გადამწყვეტ წვლილს მსოფლიო იმპერიალიზმის მთავარი დამკვრელი ძალის განადგურებაში. ღრმად და მკაფიოდ გააშუქონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ მილიტარისტთა განადგურების ორგანიზაციაში, საბჭოთა ადამიანების, არმიისა და ფლოტის მეომრების, პარტიზანებისა და იატაკქვეშეთის მონაწილეების მასობრივი გმირობა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შრომითი გმირობა დიდი სამამულო ომის წლებში.

ყოველმხრივ უნდა გავაშუქოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი მოღვაწეობა ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად, სსრ კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის განსამტკიცებლად, სოციალისტური თანამეგობრობის შესაკავშირებლად, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დასამკვიდრებლად. ვამხელოთ მსოფლიო რეაქციისა და იმპერიალიზმის ძალების აგრესიული არსი, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა ძირგამომთხრელი საქმიანობა, ბურჟუაზიული და ოპორტუნისტული იდეოლოგია, მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფალსიფიკატორები.

გამარჯვების 30-ე წლისთავის იუბილე აღინიშნება, როგორც მთელი პროგრესული ძალების ინტერნაციონალური დღესასწაული, რაც ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის უცვლელ სოლიდარობას მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, რევოლუციურ მუშათა მოძრაობასთან, კომუნისტურ პარტიებთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, სოციალური პროგრესის ყველა მომხრესთან.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, არმიისა და ფლოტის პოლიტორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სახბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და შემოქმედებით კავშირთა ხელმძღვანელ ორგანოებს, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის მომზადებისა და დღესასწაულობისათვის.

ცენტრალური ტელევიზიისა და რადიოგაზეთების რედაქციებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ, სისტემატურად გამოაქვეყნონ და ტელევიზიითა და რადიოთი გადასცენ გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები.

საიუბილეო ღონისძიებათა განხორციელება მიზნად უნდა ისახავდეს არმიისა და ხალხის ერთიანობის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სბრძოლო და პოლიტიკური მომზადების სრულყოფას, ყველა საბჭოთა ადამიანის და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის აღზრდას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გმირული რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, დიდი სიფხიზლისა და სამშობლოს, სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით.

1975 წლის 5-9 მაისს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები და სხვა მასობრივი ღონისძიებები მოეწყობა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო და რაიონულ ცენტრებში, სამრეწველო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში და ხომალდებზე, რათა განმარტონ, თუ რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხის გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიაზე, საბჭოთა კავშირისა და მისი შეიარაღებული ძალების გადამწყვეტ წვლილს მსოფლიო იმპერიალიზმის მთავარი დამკვრელი ძალის განადგურებაში. ღრმად და მკაფიოდ გააშუქონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ მილიტარისტთა განადგურების ორგანიზაციაში, საბჭოთა ადამიანების, არმიისა და ფლოტის მეომრების, პარტიზანებისა და იატაკქვეშეთის მონაწილეების მასობრივი გმირობა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შრომითი გმირობა დიდი სამამულო ომის წლებში.

ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დარაზმეს შრომითი კოლექტივები სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. ეფექტიანი ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეროვნული ეკონომიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კოლექტივებს.



# ყოველი დღე, ყოველი საათი — დამკვრელური!

# შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

7 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი გ. ა. ეუკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ს. შაპოშნიკოვი, და ჩილეს სოციალისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ჩილეს სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი კ. ალტამირანო, ჩილეს სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილე ა. სპუულვედა, ჩილეს სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრები კ. ალმეიდა, რ. კალდერონი და ვ. დელ კანტო, ჩილეს სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ხ. სუარესი.

ჩილეს სოციალისტური პარტიის დელეგაციამ ილაპარაკა ჩილეს მდგომარეობაზე, იმაზე, რომ ფაშისტური ხუნტა განაგრძობს რეპრესიებს პროგრესული და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ, სასტიკი ტერორის მიუხედავად, სოციალისტური, კომუნისტური და სახალხო ერთიანობის სხვა პარტიები განაგრძობენ ბრძოლას იატაკქვეშეთის პირობებში. ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდება უკმაყოფილება სამხედრო ხუნტის პოლიტიკის გამო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა საბჭოთა კომუნისტებისა და ყველა საბჭოთა ადამიანის ძმური სოლიდარობა გამოუცხადეს ჩილელ პატრიოტებს. მათ განაცხადეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კვლავაც შეასრულებენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას, დახმარებასა და მხარდაჭერას გაუწევენ ჩილეს პატრიოტულ და დემოკრატიულ ძალებს ფაშიზმისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ჩილეს სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ საერთაშორისო სოლიდარობის მოძრაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეპრესიებისა და ტერორის შეწყვეტისათვის, ჩილეს პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის, დემოკრატიის გამარჯვებისათვის, ჩილელი ხალხის წარმატებული ბრძოლისათვის. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, ჩილელ პატრიოტებთან და დემოკრატებთან სოლიდარობისათვის.

შეხვედრამ გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

ხუთწლედი — ვალდამდე!

# საქართველოს სსრ მშრომელთა 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სსრ მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აქტიური საშინაო და საგარეო კოლიტიკას, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ და ნაყოფიერ მოღვაწეობას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დარაზმეს შრომითი კოლექტივები სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. ეფექტიანი ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეროვნული ეკონომიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კოლექტივებმა 8 პროცენტით. გადაჭარბებით შეასრულონ მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ციტრუსებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. სახელმწიფოს ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მიპყიდონ: მარცვლეული — 215 ათასი ტონა, ხორცი — 95 ათასი ტონა, რძე — 40 ათასი ტონა, შაქრის ჭარხალი — 100 ათასი ტონა, თამბაქოს ნედლეული — 3 ათასი ტონა, მზესუმზირა — 13 ათასი ტონა, ბოსტნეული — 80 ათასი ტონა, ხილი — 35 ათასი ტონა, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 130 ათასი ტონა, ციტრუსები — 100 ათასი ტონა.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის. საწარმოთა სიმძლავრეების ძირითადი მატება მიიღონ მათი რეკონსტრუქციის გზით. აამოქმედონ მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მეორე რიგი 7 ნოემბრისათვის. ვადამდე გადასცენ საექსპლოატაციოდ მრეწველობის მუბუქი და კვების დარგების ობიექტები, მათ შორის ზუდიდის ფაიფურის ქარხანა — 5 დეკემბერს. უზრუნველყონ საცხოვრებელი ფართობის რიტმული გადაცემა საექსპლოატაციოდ წლის კვარტალების მიხედვით, გეგმის გადაჭარბებით ჩააბარონ 500-ზე მეტი ბინა. 350-მდე გაადიდონ იმ ბრიგადების რიცხვი, რომლებიც ნ. ზლობინის მეთოდით მუშაობენ.

წარმოებაში ახალი ტექნოლოგიური პროცესების, თანამედროვე მოწყობილობის დანერგვის, შრომის ორგანიზაციის სრულყოფის გზით მიიღონ 1975 წელს 7,3 მილიონი მანეთი ეკონომიური ეფექტი. მიაღწიონ იმას, რომ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭოს 100 სახეობის ნაწარმს. 60 პროცენტით განაახლონ მუბუქი მრეწველობის პროდუქციის ასორტიმენტი.

1975 წლის გეგმის გადაჭარბებით დატვირთონ და გაგზავნონ რკინიგზის ტრანსპორტით 400 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდონ 600 ათასი ტონა, საზღვაო ტრანსპორტით — 60 ათასი ტონა ტვირთი, საავიაციო ტრანსპორტით გადაიყვანონ 14 ათასი მგზავრი.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ 30 დეკემბერს და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიპყიდონ 9 მილიონი მანეთის საქონელი. წლიურ გეგმაზე 350 ათასი მანეთით მეტი დამატებითი საყოფაცხოვრებო მომსახურება გაუწიონ მოსახლეობას. მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ მშრომელთა მომსახურების კულტურა, განსაკუთრებით სოფლად.

უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური მეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ნედლეულის, მასალებისა და ენერგორესურსების ხარჯვის შემცირებისათვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, ძირითადი ფონდების უფრო სრულად გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ დაუცხრომლად იზრუნებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და შეასრულებენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმებსა და ვალდებულებებს.

ვალდებულებანი განხილული და მიღებულია რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კოლექტივების კრებებზე.

# მისაბაძი თანამედროვენი



თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტროშეინკალი, შრომის ვეტერანი ვარლამ ბეჟუაშვილი.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარ უჩა ჯაფარიძის ნახატი.

ბუთიოდე ათეული წლის წინათ, ტყიბულის რაიონის სოფელ კურსებში გრიგოლისა და ალექსანდრა ბეჟუაშვილების მრავალრიცხოვან ოჯახს კარგად იცნობდნენ თანასოფლელები. ამ კეთილ, მოსიყვარულე, ამაგდარ ცოლ-ქმარს სარჩენად ჰყავდათ ექვსი ვაჟი, ორი ქალიშვილი და ღრმად მოხუცებული შვობლები...

ცხოვრება ჭირდა...

ერთ გაზაფხულს, თბილისიდან გრიგოლს ძმა — პოლიკარპე ეწვია. როცა ერთმანეთი მოისიყვარულეს და სტუმარმა წასვლა დააპირა, მან ძმას დახმარება შესთავაზა — თუ ვარლამს შეელევით, თბილისში გამატანთ, ჩემთან ქარხანაში მივიყვან, ხელობას ვასწავლი, თვითონაც ირჩენს თავს და თქვენც დაგეხმარებათო...

პოლიკარპეს ასეთი მოულოდნელი წინადადება პირველად ეუცხოვათ ვარლამის შვობლებს, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ და ბოლოს დათანხმდნენ.

წინ პოლიკარპე მიდიოდა, მას ფეხდაფეხ ვარლამი მისდევდა, მათ კი ალექსანდრა, ძმები, დები და თანატოლები მიაცილებდნენ... ყველანი სოფლის ბოლოში შეჩერდნენ... დამშვიდობებისას ვარლამის დედამ მაზლი გაიხმო და სთხოვა:

— ჩემი ვარლამი თოთხმეტი წლისა შესრულდა, ჩვენი სოფლის გარეთ ჯერ ფეხი არ გაუდგამს, ახლა კი ქალაქში მიგყავს... ვინცობაა, ბიჭმა მოიწყინოს ან გული აღარ დაუდგეს, იდარდოს, ინადვლოს, გეხვეწები, მაშინვე გამოაყოლე ვინმეს. დედა მერე თავის შვილს მიუბრუნდა, მოეხვია, აკოცა და უთხრა: — აბა შენ იცი, შვილო, რასაც გეტყვიან და დაგარიგებენ უფროსები, გაუგონე, იყოჩაღე, ისწავლე, ხელობას დაეუფლე, გენაცვალოს დედაშენი! — თვალზე მოგდგარი ცრემლები მოიწმინდა და გზა დაულოცა...

გადიოდა დრო, იმერეთიდან ჩამოყვანილი ბებუკი მონდომებითა და მუყაითად შრომობდა იმ სახელოვან ტრადიციულ ქარხანაში, სადაც ადრე, ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე პოლიტიკურ შრომით მოღვაწეობას ეწეოდნენ ჩვენი სახელმწიფოს და პარტიის გამოჩენილი ადამიანები. აქ ყოველთვის იყო მუშათა კლასის ის წინამძღოლი ბირთვი, რომელიც მეფის თვითმყრობელობას მოსვენებას უკარგავდა.

— ვერ წარმოიდგენთ ჩემს ბედნიერებასა და სიხარულს, — იგონებს ვარლამი, — როცა ბიძაჩემმა ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში მიმიყვანა და ნაცად მუშებს მიანდო ჩემი მომავალი ბედი. მათთან ყოფნისას ჩამენერგა სიმართლე, შრომის ძალა, მისი პატივისცემა, მეგობრობის, თავდადებისა და სიყვარულის გრძნობები.

ვარლამ ბეჟუაშვილი თანდათან ვაუკაცდებოდა, ეუფლებოდა ხელობას და გზას იკაფავდა შრომითი დიდებისაკენ... ის ჯერ თავისი ბიძის მეთვალყურეობით, შემდეგ ცნობილი ოსტატის პორფილე მელქაძის უშუალო ხელმძღვანელობით ბეჯითი შრომითა და განუწყვეტელი სწავლით ზეინკლის რთულ და საპატიო პროფესიას მოკლე დროში დაეუფლა.

— მრავალი შრომითი გამარჯვება მახსოვს. ჩვენს მარჯვენას, ჩვენს პროდუქციას იხსენებდნენ ქებით, ხოტბას ასხამდნენ, — კმაყოფილი მიუვება ვარლამი, — არც ნიფათები და წარუმატებელი წუთები მავიწყდება... ერთხელ, როცა შედაწვის ძრავი ავაწყე და უნდა გამომეცადა, ხელებით ვერ დავიმაგრე და ფეხი მივაშველე. ის იყო ძრავის გამოცდა დავაპირე, რომ ვიღაცამ სილა მითავაზა, ხელი მკრა და იატაკზე დავეცი... გონს რომ მოვედი, გაფითრებული პორფილე მელქაძის პირისპირ აღმოვჩნდი. ორივეს გარს გვეხვევნენ საამქროს თანამეგობრები. ისინი დუმდნენ. მე კი შურისძიება ყელში მქონდა მობჯენილი, მაგრამ ეს სულ ორ-სამ წუთს გაგრძელდა. ოსტატი მომიახლოვდა, მარჯვენა ხელი მხარზე დამადო და მისაყვედურა:

— მეორედ ასეთი რამ აღარ ჩაიდინო, რამდენჯერ გაჩვენე, როგორ უნდა გამოცადო ძრავი. იღბალი შენი, რომ დროზე მოგისწარი, ძრავი გაგაგდებინე, თორემ ახლა უკვე უფეხოდ ან უხელოდ იქნებოდი...

სიმწრისა და სირცხვილის ოფლმა დამასხა. ცამდე მართალი იყო ჩემი ოსტატი, მე კი დავრწმუნდი საბედისწეროო შეცდომაში... ეს იყო ჩემი მწარე გაკვეთილი. იმ დღიდან უფრო მეტად შემოყვარდა დიდი ოსტატი პორფილე მელქაძე და მის მარად თაყვანისმცემელად ვრჩები. ოთხმოც წელს გადაცილებულ ოსტატს ხშირად მოვიანახულებ ხოლმე. ის ხომ ჩემი აღმზრდელიც არის და მასწავლებელიც...

ახალ-ახალი წარმატებებით მიიწევდა წინ ვარლამ ბეჟუაშვილი. იგი 1932 წლის 15 ივნისს კომუნისტური პარტიის რიგებშიც შევიდა.

დიდ სამამულო ომში, როცა სამშობლო განსაცდელში იყო, ვარლამმა გადაწყვიტა თავის ხუთ ძმასთან ერთად წასულიყო ფრონტზე და შური ეძია მტერზე. განზრახვაზე უარი უთხრეს და უბრძანეს, დარჩი, აქაც სჭირდები სამშობლოსო. მან ქარხანაში თავდადებული შრომით თავისი წვლილი შეიტანა ფაშისტური არმიის განადგურებაში, პირნათლად შეასრულა კომუნისტისა და პატრიოტის წმიდათაწმიდა ვალი. ომი დამთავრდა, გავიმარჯვეთ, მაგრამ ვარლამის ოჯახს არ დაბრუნებია შინ ორი ვაჟაცი — კლიმენტი და ალექსი. რას იზამ, ისინი ქვეყნის, ხალხის თავისუფლებას შეეწირნენ.

ვარლამი, რომ იტყვიან, დაღვნდა. თბილისში დამკვიდრდა, დაცოლშვილდა, შეუღლესთან ერთად კარგი ოჯახი შექმნა. მათმა ქალიშვილმა ცარომ და ვაჟიშვილმა ფრიდონმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს და ახალგაზრდა სპეციალისტები შრომის ფერხულში ჩაებნენ.

თვითონ ვარლამს რა განათლება აქვს? — შეიძლება ვინმეს დაებადოს ასეთი კითხვა. დიახ, დაე ყველამ იცოდეს, რომ ვარლამმა წარმატებით დაამთავრა შრომისა და ცხოვრების აკადემია და კვლავაც განაგრძობს სწავლას. ეს აკადემია თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანაა, უზარმაზარი ქარხანა-გიგანტი, თავისი ათასხუთასი კაცით, სადაც მუშათა კლასი თვით სწავლობს და ასწავლის ახალგაზრდობას ადამიანურ ყოფაქცევას, შრომასა და სამშობლოსათვის თავდადებას...

დილაადრიანვე გამოვცხადდი № 2 ელექტროსექციების შემკეთებელ საამქროში, ვარლამ ბეჟუაშვილი რომ მოღვაწეობს. საუცხოო დისციპლინა სუფევდა, ყველა თავ-თავის საქმეს უხმოდ, მონდომებით ასრულებდა. ვარლამთან მივედი. იგი ძრავებიან ელექტროვაგონთან იყო და ჯგუფურ გადამრთველს ამონტაჟებდა. მასთან საუბრისას ბევრი ახალი რამ შევიტყე. რამდენიმე დღის წინათ ვარლამი კომუნისტებს საამქროს პარტიული ბიუროს მდივნად აურჩევიათ.

— საამქროში თოთხმეტი ბრიგადაა, — მითხრა ვარლამმა. საამქროს მუშებმა თავი ისახელეს — 1974 წლის გეგმა 28 დეკემბრისათვის შეასრულეს, — 70 ელექტროსექციიდან 15 სექცია კაპიტალურად შეკეთდა, 55-ს საშუალო რემონტი გაუკეთდა, გეგმის ზევით შეკეთებულია ერთი სამვაგონიანი სექცია და 9 მისაბმელი ვაგონი. 17 კომუნისტიდან ყველამ გადაჭარბებით და ხარისხიანად შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა. ომარ ხაჯაშვილი, ძმები გოდერძი და კარლო ბერიაშვილები, ანდონ აკოფაშვილი, ზურაბ ცერცვაძე, რობერტ კაშია, ანატოლი ელუშკინი, ზურაბ იმედაშვილი, რუსლან ხორხელი, ჯუმბერ იმერლიშვილი და სხვები შრომის ცეცხლში იწვიან. ბრიგადებსა და საამქროებს შორის სოციალისტური შეჯიბრებაა, ჩვენმა ბიჭებმა გადაწყვიტეს შეცნრე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელი გეგმების ვადაზე ადრე შესრულებით აღნიშნონ.

ასე განსაჯეთ, პროფესიონალ მუშა-ოსტატთა თავდადებულმა, ნაყოფიერმა და შემოქმედებითმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. ქარხანაში მათმა საამქრომ პირველმა მიიღო კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელწოდება.

ჩვენს საუბარს საამქროს ოფროსმა, ახალგაზრდა ინჟინერმა ვაჟა ამანათიძემ მოუსწრო. იგი სჯა-ბაასში ჩაგვერია და თავმდაბალი მუშაკაცის ვარლამის ნაამბობს ბევრი რამ დაუმატა.

— 1973 წლის 11 სექტემბერს, ხუთმა ელექტროვაგონშემკეთებელმა და მათ შორის ვარლამ ბეჟუაშვილმა, სამშობლოს, ხალხს უპატაკეს ხუთწლედის პირადი დავალების განაღდება. შრომის ვეტერანი, ელექტროსექციების შემკეთებელი კომუნისტთა წინამძღოლი, ელექტროზეინკალთა თავკაცი ვარლამი ამჟამად უკვე 1978 წლის ანგარიშში მუშაობს და მარტო საამქროს კი არა, მთელი ქარხნის მშვენებაა! საბჭოთა მთავრობამ იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა. მის მკერდს „შრომის ვეტერანის“ მედალიც ამშვენებს.

ვარლამს ძლიერ ეუხერხულებოდა, რომ აქებდნენ და გვერდით გადაინაცვლა...

— ჩვენი ვარლამი გაჭირვების ტალკვესია. ყველა ხელობა იცის. რაც კი კარგი რამ შეიძლება ითქვას ადამიანზე, არაფერი უნდა დაიშუროს კაცმა ვარლამის სახოტბოდ. ის ყველა სიკეთის ღირსია. — ასე დაასრულა სიტყვა საამქროს უფროსმა.

საამქროს მუშა-მოსამსახურეთა შორის იგრძნობა განსაკუთრებული დამოკიდებულება იმ პოზიტიური მოვლენებისადმი, რაც ახლა ჩვენში ხდება. მათ ახარებთ და ახალისებთ რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მიღწეული საერთო წარმატებები. ყველა პატიოსანი ადამიანი, კომუნისტი თუ უპარტიო აქ კმაყოფილებით იგონებს კერძოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების მუშაობას, სადაც მთელი პრინციპულობითა და სიცხადით აღინიშნა როგორც ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარების მაღალი ტემპები, ასევე ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

— ჩვენ მუშებს, ჩვენი საამქროს მოსამსახურეებს, — გულწრფელად გაგვიზიარა თავის გულის ნადები ვარლამ ბეჟუაშვილმა, — ყველას, დიდსა და პატარას, ვისთვისაც ძვირფასია და საფიცარია მშობლიური რესპუბლიკა, არა აქვს უფლება გულგრილად უცქერდეს ნაკლოვანებებს, ფეხს არ უწყობდეს ცხოვრებას, საკადრის პასუხს არ სცემდეს ყველას, ვისაც არ სურს გამოვიდეს ჭაობიდან და ნათელ შარაგზაზე გავიდეს.

**დავემშვიდობეთ** ერთმანეთს და გული დამწყდა, რომ დავშორდით!

მივაბიჯებდი ქარხნის ეზოში და მესმოდა დანადგარების ხმაურ-ბუბუნი. ნამდვილად ვგრძნობდი ადამიანების მაჯისცემას, ნათლად ვხედავდი, როგორ ეჭიდებოდნენ ისინი ლითონს და იმარჯვებდნენ.

გიორგი კაპიანაშვილი.

# მუშაკაცი

## ვარლამ ბეჟუაშვილი უკვე 1978 წლის გეგმას ანაღდებს

---

## არცერთი მუქთახორა, შრომის თავისამრიდებელი სოფლად!

# ავს თუ ავი ერა ვუწოდეთ!..

### ახალსოფლელთა მართალი სიტყვა

□

ყოველი ეიფრის უკან, რომელიც შრომითს გმირობას ასახავს, გამრჯე ადამიანები დგანან. აი ისინი, ვინც სოფლის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ:

სოციალისტური შრომის გმირი ი. ტყებუჩავა. იგი სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ცნობილი მესიმინდე გახდა. მისი მაგალითი ბევრი ახალგაზრდისათვის მისაბაძად იქცა. იგი არც შარშან ჩამორჩენილა შრომაში. თუმცა ჯანი ძველებურად აღარ მოსდევს, მაგრამ მაინც სიმინდისა და რეჰანის მაღალი მოსავალი მიიღო.

— რატომ არ უნერგავენ შუშბლები შეიღებს შრომის სიყვარულს? — იკითხა ტრიბუნიდან ი. ტყებუჩავამ. ასეთი მართალი კითხვა ყველა პატიოსან მშრომელს გულში მოსვდა, რადგან ამ სოფლის 67 ჯანღონით სავსე ადამიანი არსად არ მუშაობს. ერთ-ერთი მათგანი, გ. თოლორდავა დადის რუსეთ ფედერაციის ფარგლებს გარეთ და, როგორც იტყვიან, ღმერთმა იცის, რას აკეთებს.

საამაყო კაცად ითვლება სოფელში მ. ხურცია. იგი შრომისა და ომის ვეტერანია. დღესაც მისთვის შრომა სიხარულის წყაროა. მოწინავეებს მხარს უსწორებენ ჟ. ხოფერია, ღ. აპაჩელია, ზ. ხარჩილავა, ა. გაბუნია, ლ. ჯოჯუა, მ. კუჭავა და სხვები.

ორგანოს ორგანური ცვლილა. თითქმის ყველანი აღნიშნავდნენ, რომ სოფელში ჯერ კიდევ არიან ისეთი ოჯახები, რომელთა წევრები სასარგებლო შრომას გაურბიან. აი ისინიც: ლ. ხურცია, ლ. კვაშილავა, ბ. ხურცია. უმუშევარი ახალგაზრდების საშუალო ასაკი ამ სოფელში 25 წელია. ზოგიერთმა შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა, მაგრამ ჯერაც არ არის ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. უსაქმურობას კი, მოგეხსენებათ, ხშირად დანაშაული მოსდევს. ერთმა ახალგაზრდამ გ. დავითაიამ, რომელიც არმიაში საჯალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ დიდხანს არ მუშაობდა, დანაშაული ჩაიდინა და ამჟამად სასჯელს იხდის. მხოლოდ დაუდგავარ კაცს შეუძლია თავის თავს ასე ავნოს, ცხოვრების საუკეთესო წლები დაიმასინჯოს.

ყრილობამ ყურადღებით მოისმინა მოწინავე ახალგაზრდის ნანი გოგიას გამოსვლა. — ბულისტკივილით ძალიან აღენიშნა, თქვა მან, — თუ ჩვენი სოფლის ზოგიერთი ახალგაზრდა რაიმე სპეციალობას მიიღებს (იშვიათად სწავლობენ სოფლისათვის სასარგებლოს), შინ უქმად არის, აქაო და სპეციალისტი ვარ და სამუშაო გვეშოგეო. სოფელში ხუთი უმუშევარი მბეჭდავ-მექანიკანე გვყავს, ამდენივე ეუფლება ამ საქმეს. ეს ახალგაზრდები სოფელს არ კადრულობენ, შობლიურ კუთხეში შრომას გაურბიან.

ცხოვრობდე სოფელში, სარგებლობდე სოფლის სიკეთით და არაფერს აკეთებდე მის საკეთილდღეოდ, ეს დანაშაულია. სოფლისათვის ჯერაც არაფერი გაუკეთებიათ ახალგაზრდა ქ. თოლორდავას, ვ. ცომაიას, ჟ. ქვანიას, გ. ხურციას.

ზოგიერთი ახალგაზრდა მშობლებს შეაყენრებს, შრომით თავს არ იწუხებს. სანამ უნდა იყონ ისინი ასეთი მუქთახორები?! თვითეული ახალსოფლელისათვის შრომა შინაგანი მოთხოვნილების, სინდისის წყაროდ უნდა იქცეს. პატიოსანი და უპატიოსნო ადამიანი სინდისითა და საქმით გამოიცნობა.

ადამიანის ღირსების ერთ-ერთი მთავარი ნიშანია მისი დამოკიდებულება შრომისადმი. ეს კი ყველას როდი ესმის. მაგალითად, დღეისათვის არსად არ მუშაობენ საშუალო სპეციალური განათლების მქონენი — ს. ყურაშვილი, ვ. კოკაია, პ. ბოჯგუა, ტ. დაღანიძე. სპეციალობა მათ მამინ აგონდებათ, როცა მუშაობას მოსთხოვენ.

შრომისადმი სიყვარული ნამდვილი განძია. ამაზე ლაპარაკობდნენ ახალსოფლელთა ყრილობაზე შრომაში გაჭაღარავებული ადამიანები რ. დავითაია და ჟ. ხოფერია, აქ მოწვეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ფუტუტატი, ცნობილი მესალიჩე ჟ. მიმინოშვილი, ხეხილის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის დირექტორი ნელი ხორავა, ამ მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარეჰ იზოლდა ფოჩხუამ დიდი ქარფველი პოეტის ფ. გურამიშვილის სიტყვები — ავს თუ ავი არ ვუწოდოთ, კარგს სასელად რა დავარქვათ — გაიხსენა და აღნიშნა, რომ აუცილებელია გადამჭრელი ბრძოლა გამოვუცხადოთ მუქთახორობას.

როცა ზოგიერთი ჯანღონით სავსე ახალგაზრდა ფიზიკური შრომისაგან თავის დაძვრენას ცდილობს, ეს მარტო მისი შინაგანი მიდრეკილების ბრალი როდია. აქ ისინიც ცოდვაენ, ვინც ეს მიდრეკილება უყურადღებობით გააღვივა მათში და უარყოფითი გამოვლინებისაკენ უბიძგა. აქ ლაპარაკი გვაქვს მშობლებზე. მ. ხურცია, რომელზეც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულიად ახალგაზრდა იყო, ომიდან მკერდდამშვენებული რომ დაბრუნდა. ომის ბანგით შეეგებნენ, ისიც არ ეფიქრებოდა, ისე შრომის ფერხულში ჩაება. მას არ უთხოვია ნებაუქი სარეშაო.

სამუშაოდ, ამ სოფელში არცთუ [illegible] ... ამ ახალგაზრდობასაც აქვს ბევრი რამ სასაუბედურო მეურნეობების, სოფლის მეთაურთა მიმართ. არ არის შექმნილი საჭირო პირობები კულტურული ცხოვრების დონის ასამაღლებლად, სოფლის ინტელიგენციია ჯერ კიდევ ვალშია მათ წინაშე, მძიმე მდგომარეობაა საშუალო სკოლაშიც, სადაც სამცვლიანი მეცადინეობაა.

ახალსოფლელთა შრომისა და ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე ილაპარაკა პარტიის ცხაკიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ. მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება და მიმართვა რაიონის ყველა მშრომელისადმი.

ყრილობამ თავის დადგენილების ერთ-ერთ მუხლში ჩაწერა: ეთხოვოს ახალსოფლის სასოფლო საბჭოს აღმასკომს — იმ შრომისუნარიან მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც არ შასრულებენ ამ ყრილობის დადგენილებას და გააგრძელებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდებას და მიმდინარე წლიდან პირველ მარტამდე არ ჩაებმებიან შრომაში, გამოიყენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულება, რათა ისინი იძულებითი წესით ჩაებან შრომაში.

ახალსოფლელთა ყრილობა უთუოდ ნიშანდეულოვანი მოვლენა იყო ამ სოფლის ცხოვრებაში. როცა ყრილობის მონაწილენი ტრიბუნაზე ი. ხოფერიასა და მ. ხუხიას უსმენდნენ, ყველა ხედავდა, თუ როგორ ვერ უწორებდნენ ისინი თვალს დარბაზში მყოფ შრომის ადამიანებს, რადგან შრომის ფერხულში არ არიან ჩაბმული და სოფელს წინსვლაში არ ეხმარებიან. ყრილობამ ყველას უჩვენა, რა ძალა აქვს ხალხის, ყოველი მშრომელის ხმას.

**ბ. მილიუტინი,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

---

## ა. ა. გრომიკო ესაუბრა დიდი ბრიტანეთის ელჩს

**7 თებერვალს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ტ. ჰარვი და ესაუბრა საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის მომავალ ოფიციალურ ვიზიტთან საბჭოთა კავშირში.

□

## 700 შემოფრენა დედამიწის გარშემო

**ფრენის მართვის ცენტრი.** 8 თებერვალი. (საკადესი). 29-ე დღეა კოსმოსში დაფრინავენ ალექსი გუბარევი და გიორგი გრეჩკო.

მოსკოვის დროით 14 საათისა და 30 წუთისათვის „სალუტ-4“ ორბიტალურ სამეცნიერო სადგურმა 700-ჯერ შემოფრინა დედამიწას, აქედან 430-ჯერ — ეკვატორთან. სადგურის მოძრაობის ტრაექტორიის პარამეტრები ამჟამად შემდეგია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 361 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 334 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 91,3 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

მორიგი სამუშაო დღის პროგრამის შესრულებისას კოსმონავტები პროფილაქტიკური თვალსაზრისით ამოწმებდნენ ცალკეულ სისტემებს, სისტემაში მოქაჟავდათ წინა ფენების კვლევის შედეგები, ასრულებდნენ ფიზიკურ ვარჯიშს.

სამეცნიერო კონტროლის მონაცემებთა და სადგურიდან მიღებული მოხსენებების თანახმად, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. გუბარევის მაჯისცემაა წუთში 64, გრეჩკოსი — 72. არტერიული წნევის სიდიდე შესაბამისად უდრის ვერცხლისწყლის სვეტის 125X70 და 130X70 მილიმეტრს.

სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ. ნაკეთურებში დედამიწასთან დაახლოებული პირობებია. სადგური „სალუტ-4“ ფრენას განაგრძობს.

□

## ლენინის ბიბლიოთეკის ი უ ბ ი ლ ე

**ნახევარი** საუკუნე შესრულდა, რაც რუმიანცევის მუზეუმის ბიბლიოთეკა გარდაიქმნა სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკად. სახელოვან იუბილეს მიეძღვნა სხეიმი სხდომა, რომელიც 7 თებერვალს გაიმართა ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში.

შეკრებილებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კრებას ესწრებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი.

იუბილეზე გამოვიდნენ მეცნიერები, პარტიული და საზოგადო მოღვაწენი, რომლებმაც აღნიშნეს ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის დიდი წვლილი მრავალეროვნულ საბჭოთა კულტურაში, ჩვენი პარტიის იდეათა-პროპაგანდაში.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

---

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

# ავამაღლოთ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა

თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, რესპუბლიკის წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საწარმოებლების ხელმძღვანელები.

მოხსენება — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ხარვეზის, შეიმუშავეს იმ ამოცანების გადაწყვეტის ღონისძიებები, რომლებიც რესპუბლიკის მრეწველობას დაუსახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა. კრების მონაწილეებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

კრების მონაწილენი სერიოზულად შეაფასეთ მშენებლობის ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის საქმეში არსებულმა ჩამორჩენამ. მაგალითად, სამშენებლო სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობისადმი სამრეწველო გაერთიანებებისა და სამინისტროს სუსტი კონტროლის შედეგად შეყოვნდა სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკის, მთელი რიგი ჩაის ფაბრიკების და სხვა ობიექტების მწყობრში ჩაყენება.

ჯერ კიდევ კარგად ვერ არის მასობრივი მოხმარებისა საქონლის ხარისხის საქმე. საესებით სამართლიანია მომხმარებელთა საყვედური პურ-ფუნთუშეულის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების ხარისხის გამო. უმნიშვნელოა ხარისხის სასელმწიფონიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა.

შეუწყნარებლად ნელა ხორციელდება დასატვირთ-გადმოსატვირთ სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია. დიდია მუშა ხელის დენადობა, ცვლებშიდა სამუშაო დროის დანაკარგი.

აქტივის კრებამ დაამტკიცა სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებები.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ფადატკორნა.

(საქინფორმი).

---

## საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

**გაიმართა** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. **ნ. ა. ლაკაია** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. **ი. დ. უბილავა.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. **შ. ვ. ყარყარაშვილი.**

(საქინფორმი).

---

# ჩვენ თქვენთან ვართ, ჩილელო პატრიოტებო!

გულთბილ და გულითად მასპინძლობას უწევს საქართველო ლუის ალბერტო კორვალანს, ფაშიზმის წინააღმდეგ, სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი ჩილეს პროგრესული ახალგაზრდობის წარმომადგენელს. წელიწადზე მეტ ხანს იტანჯებოდა ლუის ალბერტო კორვალანი ხუნტის დილეგებში. საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეგავლენით ჯალათები იძულებული გახდნენ გათავისუფლებინათ იგი. მაგრამ სანტიაგოში დარჩნენ ლუისის დედა, დამები. თუმცა დევნიან, განუწყვეტლივ ჩხრეკენ ფაშისტები.

ლუისის ოჯახმა ვაჟაცური გადაწყვეტილება მიიღო — არ დატოვის ქვეყანა, სანამ არ გათავისუფლებენ ჩილეს კომპარტიის გენერალურ მდივანს ლუის კორვალანს.

ლუის ალბერტო კორვალანი და მისი მეგობრები რაფაელ კარერო და რობერტ ნორდენფიში კვლავ ეგნიბიან რესპუბლიკას. ისინი იყვნენ რუსთაველი. აქ გამართა საუბარი პარტიის საქალაქო კომიტეტში. საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიძემ ჩილეს ახალგაზრდობის წარმომადგენლებს გააცნო რუსთაველთა ზრომითი საქმეები, მშრომელებსა, რომლებიც შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ლუის ალბერტო კორვალანმა რუსთავის პარტიულ ორგანიზაციას გადაცა სალვადორ ალიენდეს უკანასკნელი ხიტყვის მაგნიტოფონის ჩანაწერი. გასნვებულმა პრეზიდენტმა ამ სიტყვებით მიმართა თავის ხალხს.

შემდეგ სტუმრებმა დათვალიერეს მეტალურგიული ქარხნის მარტენის, საგრინავი და მილსაგლინავი საამქროები. მუშები მხურვალედ მიესალმნენ ლუის ალბერტო კორვალანსა და მისი სახით ყველა ჩილელ პატრიოტს, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებული ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მარტენის საამქროს მუშებმა ლუის კორვალანს აჩუქეს მეფოლადის ჩაჩქანი და ახლად ჩამოსხმული ფოლადის ზოდი. დაე, უთხრეს მათ, ამ ფოლადივით მტკიცე იყოს თქვენი ნებისყოფა ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლენინის სახელობის მოედანზე გამართა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ ჩილელების ბრძოლასთან ახალგაზრდობის სოლიდარობის ხალხმრავალი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა. მიტინგის მონაწილეთა თავზე ფრიალებს ტრანსპარანტები: „სალამი გმირ ჩილელ ხალხს!“, „თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს!“, „ძირს ფაშისტური ხუნტა!“. ზღვა ხალხში მოჩანს ლუის კორვალანისა და სალვადორ ალიენდეს პორტრეტები.

მიტინგი გახსნა კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ასლანიკაშვილმა. საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარემ კ. შუბლაძემ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშამ ლ. საყვარელიძემ, მასწავლებელ რაიონის მეჩაიემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. ნიკოლაიშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა თ. იაშვილმა, პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა ილაპარაკეს იმაზე, რომ საბჭოთა ადამიანებს ღრმად სწამთ ჩილელი ხალხის მართალი საქმის გამარჯვება, რეაქციაზე დემოკრატიული ძალების გამარჯვება. მათ მოითხოვეს ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანისა და სხვა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება.

მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ლუის ალბერტო კორვალანმა. თავდადებულ პატრიოტთა სისხლით მორწყულ ჩილეს მიწა-წყალზე, განაცხადა მან, შავბნელი ღამე ჩამოწვა. მაგრამ ჯალათები ვერ გატეხენ ხალხის ნებას. ჩილე იბრძვის და გაიმარჯვებს!

ლუის ალბერტო კორვალანის სიტყვის დროს გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს თავისუფალ ჩილეს!“, „ვივა ლუის კორვალანს!“.

მიტინგში მონაწილეობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა.

* * *

8 თებერვალს ლუის ალბერტო კორვალანი და სხვა ჩილელი ამხანაგები საქართველოს სსრ-ში ეწვივნენ. აქ ისინი გულითადად მიიღეს. გულთბილი შეხვედრა გაიმართა პიონერთა და მოსწ

# ᲓᲦᲔᲡᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

## ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲚᲘᲛᲐ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲚᲐᲞᲝᲢᲨᲘ ᲓᲒᲔᲑᲐ

ᲜᲘᲥᲝᲖᲘᲐ

ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲔᲜ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ. დაძაბული მდგომარეობა კვლავ გრძელდება. „კანონიერებისა და წესრიგის“ დაცვის საბაბით ჩრდილოეთი ირლანდიის ქალაქების ქუჩებში სისტემატურად პატრულობენ ჯარისკაცები.

სურათზე: შეიარაღებული პატრული ბელფასტის ქუჩებში.

აპ-საკადესის ტელეფოტო.

## ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 თებერვალი. (საკადესი). პოლიტიკური მოღვაწენი, ინგლისის საზოგადოებრიობა მოელიან, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის მომავალი ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.**

ლეიბორისტული პარტიის ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა რ. შორტმა, კერძოდ, განაცხადა, რომ მოსკოვის მოლაპარაკებამ ხელი უნდა შეუწყოს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობის გაფართოებას და მთელი რიგი სამრეწველო პროექტების განხორციელებაში ერთობლივი მონაწილეობის შესახებ შეთანხმების მიღწევას.

როგორც ლეიბორისტული პარტიის ეროვნული აღმასკომის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. მიკარდომ განაცხადა, ინგლისის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ხელს შეუწყობს დაძაბულობის შემდგომ შენელებას და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას.

## ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ

**ᲚᲘᲛᲐ. 8 თებერვალი. (საკადესის კორ.). პერუს დედაქალაქსა და მის ახლომახლო რაიონებში მდგომარეობა ნორმალურ კალაპოტში დგება.** მუშაობა განახლეს საწარმოებმა, გაიხსნა მაღაზიები. მთავრობისა და შეიარაღებული ძალების სარდლობის გადამწყვეტი ღონისძიებების შედეგად მთლიანად აღდგენილია წესრიგი ქალაქში. მაგრამ რეაქციის ახალი გამოხდომების თავიდან აცილების მიზნით დედაქალაქსა და ახლომახლო რაიონებში კვლავ მოქმედებს კომენდანტის საათი. იუწყებიან, რომ დაიკავეს 600-ზე მეტი მონაწილე არეულობისა, რომელიც პროვოკაციულად გამოიწვიეს კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა. პოლიცია მთლიანად შეუდგა თავის მოვალეობათა შესრულებას წესრიგის დასაცავად.

ხელისუფლებამ მოუწოდეს დედაქალაქის მცხოვრებლებს არ წამოეგონ კონტრრევოლუციის მიერ გავრცელებული პროვოკაციული ხმების ანკეტს. პერუს მდგომარეობის დამახინჯებულად გაშუქების გამო დაიხურა რეიტერის საგენტო კორესპონდენტთა პუნქტი ლიმაში, მისი თანამშრომლები კი გასახლებულ არიან ქვეყნიდან.

პერუს პრესა აანალიზებს უკანასკნელი დღეების მოვლენებს და აღნიშნავს, რომ არეულობის მონაწილეებს ზურგს უმაგრებენ იმ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა მოწინააღმდეგენი, რომლებსაც პერუს რევოლუციური მთავრობა ახორციელებს, უწინარეს ყოვლისა კონტრრევოლუციური პარტია აპრა, რომელიც ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან კავშირით მოქმედებს. „ზაზეთი „ექსპრესი“ წერს, რომ „ეს მოქმედება მიზნად ისახავს შეიარაღებული ძალების გათიშვას და ამრიგად პერუში მიმდინარე პროცესის ჩაშლას“.

## ᲡᲐᲐᲥᲦᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

## ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘ�პᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

8 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

### ᲡᲚᲓᲛᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲚᲘᲡᲑᲝᲜᲘ, (საკადესი). აᲮ დამთავრდა შეიარაღებული ძალების მოძრაობის გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელშიც მონაწილეობდა პორტუგალიის შეიარაღებული ძალების სამხედრო ოლქების, ნაწილებისა და უმაღლესი სარდლობის 200-მდე წარმომადგენელი. ოფიციალური კომუნიკეს თანახმად, დელეგატებმა განიხილეს „ქვეყნის პოლიტიკური განვითარების პობლემები, მოსახლეობის კულტურული დონისა და პოლიტიკური განათლების ამაღლების კამპანიის მიმდინარეობა და სხვა პრობლემები“.

### ᲯᲐᲣᲨᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ

ᲚᲣᲜᲣᲑᲐᲨᲘ. (საკადესი). ზამბიის უმაღლესმა სასამართლომ დაიწყო მოსმენა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქის ვ. მაბოკოოკოსის საქმისა, რომელსაც ბრალად ედება ᲯᲐᲣᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სასარგებლოდ. მარშალ ივლისში სამხრეთ აფრიკის დაზვერვამ იგი გამოგზავნა ზამბიაში, რათა ცნობები შეეკრიბა ზამბიაში წარმოდგენილი აფრიკის სამხრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა შესახებ, აგენტი შეიპყრეს როცა ზამბიის საზღვარი გადალახა.

### ᲛᲝᲛᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲐᲛᲝᲛᲙᲘᲚᲔᲑᲐᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკადესი). დასასრულ პოლიციის ხელისუფლებამ, სადაც 1968 წლის ნოემბერში მოკლეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ კენედი, უარი თქვეს „საუძენის“ ამ დანაშაულის ახალ გამოძიებაზე.

ჯ. კენედის მკვლელობის ახალი გამოძიება მოითხოვა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის ცნობილმა მოღვაწემ ზანგმა მსახიობმა დიკ გრეგორიმ. დაეუდნო რა 1968 წლის იმ ტრაგიკულ დღეს — 22 ნოემბერს გადადებულ კინოკადრებს, მან უარყო ოფიციალური ვერსია „მარტოხელა მკვლელის“ შესახებ.

### ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲝᲐ

## ᲬᲧᲐᲚᲘ ᲘᲣ�პᲘᲢᲔᲠᲨᲔ?

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 8 თებერვალი. (საკადესი). ამერიკელმა ასტრონომებმა გიგანტური პლანეტა იუპიტერის ატმოსფეროში აღმოაჩინეს წყალი. მათ ეს აღმოჩენა ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ იმ საკითხის გადასაწყვეტად, შეიძლება თუ არა არსებობდეს იუპიტერზე რაიმე ფორმის სიცოცხლე. არიზონის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მზის სისტემის უდიდესი პლანეტის ატმოსფეროში, წყლის ნიშნები აღმოაჩინეს იმ ხელსაწყოების, მათ შორის ინფრაწითელი ტელესკოპის მეშვეობით, რომლებიც დედამიწის ატმოსფეროში დიდ სიმაღლეზე აიტანა საკოსმოსურად მოწყობილმა „ს-141 სტარლიფტერის“ თვითმფრინავმა.

„ამჟამად ეს ჯერ ეეშვეს, რომ იქ არის წყალი“, — განაცხადა დოქტორმა ჯაროლდ ლარსონმა. იგი და მისი კოლეგები დაწვრილებითს მოხსენებას გააკეთებენ ამ აღმოჩენის შესახებ 17 თებერვალს ამერიკის ასტრონომიული საზოგადოების სხდომაზე.

# ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲠᲬᲣᲮᲔᲑᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲠᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Ჯ. ᲤᲝᲠᲓᲘ ᲙᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲨᲕᲐᲜᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲣᲡᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲦᲬᲔᲠᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲠᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

# უნგრეთისა მიწაო...

**უცნობი საბჭოთა მეომარო, შენი სახელი გიორგი კაკაბაძეა**

ჩრდილოეთ უნგრეთში, ნაძვნარითა და ფიჭვნარით შემკულ მთიან ადგილას, კირიერატის დასახლებიდან ცოტა მოშორებით არის უცნობი საბჭოთა მეომრის საფლავი. ამ ობლად მიწამყრილ ადგილას, რომელსაც ყოველი ვარსკვლავი ამშვენებდა, ვერავინ გულგრილად ვერ ჩაუვლიდა. არავინ უწყოდა რომელი ქვეყნის შვილი განისვენებდა უცხო მიწაში, სხვა ხალხის თავისუფლებისათვის გმირულად დაფიცრულილი.

გავიდა წლები. საფლავის მოვლა ხეოლის კომკავშირელებმა ითავეს. მათ საფლავზე ქვის ობელისკი აღმართეს და ასეთი წარწერა გაუკეთეს: „აქ განისვენებს 1944 წელს დაღუპული საბჭოთა მეომარი. დიდება შენს ხსოვნას, ძვირფასო მეგობარო, შენ ჩვენს თავისუფლებას შესწირე თავი". 1972 წელს აპრილში უნგრეთში იმყოფებოდა თადარიგის ლეიტენანტი, ყოფილი მე-6 გვარდიული საპაერო სადესანტო დივიზიის მებრძოლი, ამჟამად ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ანატოლი თომას-ძე ილიჩევსკი. მან უნგრელ მეგობრებს სთხოვა წაყვანათ კირიერატში. იქ თავისი ფოტოტელი მეგობრის საფლავი ეგულებოდა.

პარტიის სობის რაიკომის მდივანმა ერჟებეტ ჰეილმა იგი უცნობი საბჭოთა მეომრის საფლავზე მიიყვანა. ილიჩევსკიმ შეიცნო ის დიდი მინდორი, სადაც 1944 წლის დეკემბერში გადამწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა. ახსოვს, რომ სწორედ ამ ადგილას, გზასთან ახლოს მიწას მიაბარეს მტრის ნაღმის ნამსხვრევისაგან განგმირული გიორგის ცხედარი.

ანატოლის თვალწინ წარმოუდგა მუდამ მომღიმარი, სიცოცხლით სავსე 22 წლის ჭაბუკის ლამაზი სახე... დიდხანს ნაღვლიანად დაჰყურებდა იგი საფლავს, შემდეგ ობელისკთან ყვავილები დააწყო და ერჟებეტს უთხრა:

—ეს უცნობი საბჭოთა მეომარი ქართველი, გიორგი კაპანაძე გახლავთ, მე ოფიციალურად დამოწმებული დოკუმენტს გამოგიგზავნით და გთხოვთ მის საფლავს თავისი სახელი დააწეროთ.

ილიჩევსკი როგორც კი კიევში დაბრუნდა, მაშინვე წერილი გაუგზავნა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო არქივს, ითხოვდა გვარდიის ლეიტენანტის გიორგი კაპანაძის დაღუპვის ადგილის ზუსტ ცნობას და კაპანაძის ახლობლების მისამართს.

მალე ილიჩევსკიმ ასეთი პასუხი მიიღო:

„მე-6 გვარდიული საპაერო-სადაზვერვო დივიზიაში ირიცხებოდა მსროლელთა ოცეულის მეთაური, გვარდიის ლეიტენანტი გიორგი იაკობის-ძე კაპანაძე, 1922 წელს დაბადებული, მცხეთელი ქ. თბილისში, რეზერვშარის ქ. № 4-ში. ის 1941 წელს გაწვეული იყო ქ. თბილისის ლენინის რაიონის სამხედრო კომისარიატიდან, დაიღუპა 1944 წლის 20 დეკემბერს. დასაფლავებულია ცალკე საფლავში ნოვოზრადის გუბერნიის ხუტორ კირაირატში (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა). დღეგანის — ნინო მათეს ასული დეკანოზიშვილი-კაკაბაძე ცხოვრობს თბილისში, რეზერვშარის ქ. № 4-ში"

ამ მისამართზე ილიჩევსკიმ თბილისში წერილი გამოგზავნა, თან ითხოვდა — თუ ვინმე იყო გიორგის ახლობელი, მისთვის ეპასუხნა.

წერილი გიორგის დამ ვერამ მიიღო. ქალი შეშფოთდა. ძველი იარა გაეხსნა. თავისი ძმის ახლობლებს კითხულობდნენ, 30 წელია მას შემდეგ, რაც გიორგის დაღუპვის ამბავი შეიტყვეს. დამწუხრებულნი, შვილისაგან დაუტირალნი მიაბარეს მიწას დედა და მამა. და ახლა ეს რალა ამბავია.

ვერამ სასწრაფოდ თავის უფროს ძმას ვანოს მიაშურა, კიევიდან მიღებული წერილი მიუტანა. მან მაშინვე პასუხი გაუგზავნა ილიჩევსკის, ტელეფონითაც დაურეკა, შემდეგ კი თავადაც გაემგზავრა კიევში.

ილიჩევსკი ვანოს შეჭკირდა — ყოველივეს ვიღონებ, შეგიხსრულოთ ნატვრა და ძმის საფლავი გაჩვენოთო. ასე გაიბა წერილობითი კავშირი საქართველოს, უკრაინასა და უნგრეთს შორის.

მალე ვ. კაპანაძემ ერჟებეტ ჰეილისაგან უნგრეთში გაგზავრების მიწვევა და წერილი მიიღო. წერილში ნათქვამი იყო, რომ 1974 წლის დეკემბერში მათი რაიონის გერმანული ფაშიზმისაგან განთავისუფლების 30-წლისთავს აღნიშნავდნენ და სთხოვდნენ ამ დროისათვის იქ ჩასვლას. „ჩვენი ვალია, — იწერებოდა ერჟებეტი, — უკვდავყოთ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის გმირულად დაღუპული მებრძოლის სახელი".

და აი ვანო კაპანაძე ძმის საფლავის სანახავად უნგრეთში გაემგზავრა. ვ. კაპანაძე გულთბილად მიიღეს, დაათვალიერებინეს ის ადგილები, რომელიც გიორგიმ ბრძოლით განვლო, ბოლოს კირიერატში მიიყვანეს, აჩვენეს ძმის უკანასკნელი ბრძოლის ადგილი... ყვავილებით შემკული გიორგის საფლავი. ასლა მასზე უკვე დადგოთ ქვის ფილა, რომელზეც რუსულ და უნგრულ ენებზე ამოტვიფრული იყო წარწერა: „გვარდიის ლეიტენანტი გიორგი იაკობის-ძე კაპანაძე", აგრეთვე მისი ფოტოსურათი და საფლავისათვის სახელის მიკუთვნების წელი — 1974.

საფლავთან შეიკრიბნენ ვაცის, სობის, სოკოიას და კირაირატის მაცხოვრებლები, ამ რაიონების პარტიული ხელმძღვანელები, კომკავშირელ ე ბ ი, მოსწავლეები. გაიმართა ამ ადგილებს განთავისუფლების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი": შემდეგ კი მაგნატოფონი ჩართეს და ირგვლივ ქართული ხალხური სიმღერების ჰანგები დაირხა.

— თავს ძლივს ვიკავებდი, გვიამბოს ვანო, — არ მინდოდა ამოდენა ხალხისათვის ცრემლი მეჩვენებინა, რაც შემეძლო ვმაგრდებოდი, მაგრამ როცა გოგიას საყვარელი „გაფრინდი შავო მერცხალო" — დაიწყო, გულმა მიმტყუნა; იმ უნგრეთის კეთილ და მადლიან მიწას, რომელიც ჩემი ძმის სისხლით იყო მორწყული, ჩვენი სამშობლოდან წაღებული ერთი პეშვი მიწაც მივუტანე და მის საფლავზე ჩემს გულში 30 წლის მანძილზე დაგროვილი, ნაღვლიანი ცრემლებიც შევურიე. საფლავზე წესისამებრ ჩემი დედ-მამის, ძმის — არჩილის და ჩემი ბიძაშვილის, ომში დაღუპული, ავიაციის კაპიტნის ოთარ კაპანაძის სურათები დავაწყე...

უნგრეთის პრესა ფართოდ გამოეხმაურა უცნობი საბჭოთა მეომრის უკვდავყოფისადმი მიძღვნილ მიტინგს. უნგრეთის საქალაქო გაზეთი „ვაცი ბეტი, — „ეს ბიჭი ალბათ ჩვენ ერთ-ერთ ოჯახს ეკუთვნოდა. ალბათ ამ ოჯახის ერთ-ერთ ბიჭს ეფერებოდა ეს ბიჭი,